№ 155 შაბათი 15 აგვისტო 1915 წ. წ. I.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიერ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაურ. ... ტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ... მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ოთხშაბათს, 12 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, გადაიცვალა ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

თავადი იასონ დავითის მე გელოვანი,

რასაც უღრმესი მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს: მეუღლე კნეინა ოვდითი შერაბის ასული და შვილები: ბაბო ნიჟარაძისა და თ. დი მოთა გელოვანი მეუღლეებით. პანაშვიდი ეოველ დღე საღამოს ექვს საათზე. მიცვალებულის გამოსვენება საკუთარი სახლიდან (კათოლ. ქუჩა) საკათედრო ტაძარში შაბათს, 15 აგვისტოს, დიღის 8½ საათზე. წირვის და პანაშვიდის შემდეგ მიცვალებული წასვენებული იქნება ლეჩხუმს, სოფ. ახალ-ჯალას, სადაც დაკრძალვა მოხდება 19 აგვისტოს, დღით ოთხშაბათს. 3—2

ქუთაისში მყოფნი ლეჩხუმის მაზრის მკვიდრნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ლეჩხუმის მაზრის წინამძღოლის

თ-დ იასონ დავითის ძის გელოვანისას.

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე, (კათოლიკების ქუჩა). 3—2

გულ დათუთქული ასლან შერაბის ძე კვიტაშვილი და ასულნი მისი გუგულა და ზინა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას, პირველი სიმამრის და უკანასკნელნი ძვირფასი ბაბუის — ლეჩხუმის მაზრის წინამძღოლის

თ-დის იასონ დავითის ძის გელოვანისას.

პანაშვიდი ეოველ დღე, საღამოს 6 საათზე საკუთარი სახლი, კათოლიკეთა ქუჩა. 3—2

მწუხარებით მოცული კნეინა პაშა ახვლედიანისა ქმარ-შვილით და სიძეებით აუწყებს ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს გარდაცვალებას საყვარელი ბიძის, ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის,

თ-დის იასონ დავითის მე გელოვანისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. (საკუთარი სახლი. კათოლიკების ქუჩა). 3—2

დამხმარე საზოგადოება „შოვის“ სანატორიისა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გადაცვალებას თავის საპატიო წევრის

თ-დის იასონ დავითის ძის გელოვანისას.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6½ საათზე, მიცვალებულის საკუთარ ბინაზე. 3—2

ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურობა დრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავისი წინამძღოლის

თავადი იასონ დავითის ძის გელოვანის

გადაცვალებას. პანაშვიდები ეოველდღე საღამოს 6 საათ განსვენებულის ბინაზე. მიცვალებული 15 აგვისტოს, დიღის 8½ საათზე გამოსვენებულ იქნება საკათედრო ტაძარში, საიდანაც წირვა და პანაშვიდის შემდეგ წასვენებენ ლეჩხუმს. დაკრძალვა მოხდება 19 აგვისტოს სოფ. ახალ-ჯალაში. 3—2

ტავრინა და შალვა ახვლედიანები დებით და ძმებით გულ დამწვარ დათუთქულნი აუწყებენ ნაცნობთა და მეგობართ უსაყვარლესი ადმზრდელი ბიძის

თ-დ იასონ დავითის ძის გელოვანის გარდაცვალებას.

1—1—788

გულდათუთქულნი და უნუგეშო მშობლები: **კონსტანტინე იოსების-ძე** და მეუღლე მისი **მინადორა სიმონის ასული რიჟამაძენი**; შვილები ლენა, მარიამი, იულია კონსტანტინეს ასულნი და ძმები: ნიკოლოზ, შალვა და გრიგორი კონსტანტინეს ძენი რიჟამაძენი, ბიძა კოწია სიმონის-ძე წულუკიძე და ბიცოლა ანიჩქა სიმონის ასული წულუკიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 ივლისს ოსმალეთის საზღვარზე ომში გმირულათ მოჰკლეს

პოდ. იოსებ (იოსაკა) კონსტანტინეს-ძე რიჟამაძე.

პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს 15 აგვისტოს საღამოს 6 საათზ, საკუთარს, სახლში ლევაშოვის ქუჩა. ნამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

კვირას, 16 აგვისტოს, სენაკის მაზრის ს. გეჯეთის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ბრძოლის ველზე გმირულათ მოკლულის კაპიტან

ალექსანდრე კონსტანტინეს ძის ჯავახიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდამწუხრებულნი ძმები: ბახვა, სახინო და გიორგი კონსტანტინეს ძენი ჯავახიები; ასული დესპინე გეგენავა; რძლები: კატო, პატკუ და ქსენია ჯავახიებისა; და სიძე კირილე თეიმურაზის ძე გეგენავა. 2—2—872

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათს 13, 15 და 16 აგვისტოს ნაჩვენები იქნება: **პატე უურნალი.**

ნაპოლეონ II სიკვდილი

დრამა ორ **ავსტრიის ტუვეოგაში** ნაწილათ

ბებერი არშიყი მხიარული კომედია. **ფრიკო და ბოგინეტის** მონაწილეობით

კვირას, 16 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში (მიხაილოვის ქუჩა. გველესიანის სახლი) დანიშნულია

ღლიუარი კრება

ქ. ქუთაისსა და ქუთაისის გუბერნ. საკომერც. ცოდნათა გამავრც. ვაჭართა საზოგადოებისა.

განსახილავია შემდეგი კითხვები:

1. განხილვა და დამტკიცება 1914 წლის ანგარიშისა.
2. დამტკიცება 1915 წ. ხარჯთ აღრიცხვისა.
3. საზოგადოების ახალი წევრების მიღება და მათი დამტკიცება.
4. არჩევა თავმჯდომარისა, მისი ამხანაგისა და საამხრუნველო საბჭოს წევრებისა, **რადგანაც მომავალი სასწავლო ღლიდან უნდა გაიხსნას 8 კლ. კომერც. სასწავლებელი.**

ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე, კერძოთ პასინის ხეობაში რუსები წინ მიიწევენ და მოსული დეპეშის მიხედვით აქ რუსებს აუღიათ ყიზლარ-დაღის მთა. ვანის რაიონში შეტაკება უხდება რუსის მოწინავე რაზმს ქურთებთან. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

რიგის რაიონში ცვლილება არ მომხდარა. სამაგიეროთ გერმანელებმა იერიში დაიწყეს ფრიდრიხშტადტის რაიონში, სახელდობრ შენბერგ—რაძივილიშკის რაიონში. აქ გერმანელებს მაშველი ჯარი მოსვლიათ და მკაცრი ბრძოლა გაჩაღებულა, რომელიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

დვინსკის რაიონში რუსებმა შეავიწროეს გერმანელები. ვილნოს მიმართულებით გერმანელებმა ისევ წინ წაიწიეს და ვილნოს თანდათან უახლოვდებიან. რუსის ჯარი თანდათან უკან იხევს და ჯგუფდება მდინარე ვილიეს ორივე ნაპირზე.

უკან იხევენ რუსები შუა ნემანის რაიონშიდაც. ბობრის სათავიდან და პრიპიატიდან რუსებმა უკან დაიხიეს აღმოსავლეთისკენ. ამნაირათ, გერმანელები თავს უვლიან ბრესტლიტოვსკს და ბელოსტოკის წინააღმდეგაც გაუცხოველებიათ გერმანელებს მოქმედება.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 13 აგვ. ოფიციალური კავკასიის ჯარის შტაბისაგან. პასინის ხეობაში ჩვენმა ჯარმა აიღო ყიზლარ-დაღის მთა. ვანის რაიონში ჩვენ მოწინავე რაზმს შეტაკება უხდება ქურთებთან. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 13 აგვ. ოფიციალური მთავარ სარდლის შტაბისაგან. რიგის რაიონში ცვლილება არ მომხდარა. ფრიდრიხშტადტის სამხრეთ-დასავლეთით, შენბერგ, რაძივილიშკის რაიონში 11-სა და 12 აგვისტოს მტერს ძალები მოემატა და იერიშის გზას დაადგა, სასტიკი ბრძოლა გრძელდება.

დვინსკის მიმართულებით, ონიკშტის რაიონში მდინარე სვენტაზე ჩვენ ჩვენის მხრით მტერი შევავიწროვეთ. ვილნოს მიმართულებით ჩვენი ჯარი 11-სა და 12 აგვ. აჩერებდა მტრის ჯარს ივიეს პოზიციებზე. ჩვენი ჯარი თანდათან უკან იხევს და ჯგუფდება მდინარე ვილიეს ორივე ნაპირზე. შუა ნემანზე და ბობრის სათავესა და პრიპიატის შუა ფრონტზე ჩვენმა ჯარმა თანახმათ მიღებული ბრძანებისა აღმოსავლეთით უკან დაიხია. მტერი ჩვენ ჯარს აწვება მხოლოდ ზოგიერთ ადგილებზე და 12 აგვ. დიდი ძალები დაუპირდაპირა ბელოსტოკს და ბელოსტოკისა და კლეშჩელის ფრონტის აღმოსავლეთის მიმართულებას. ჩვენი ფრონტის დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 13 აგვ. დღის ოფიციალური ცნობა. არტუაში არასის მთელ ჩრდილო სექტორში არტილერიის ცხარე სროლაა. ღამის განმავლობაში ბრძოლა იყო სახელდახელო ყუმბარებით სუშესა და ნევილთან. რუას რაიონში და ლენსინიისთან არტილერიის ბრძოლა გრძელდება. ვოგეზში, ბერენკოფზე ბრძოლაა სახელდახელო ყუმბარებით. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს სადგურ ლოროახზე ბადენის საჰერცოგოში.

დარდანელში უკანასკნელ ხუთი დღის განმავლობაში ინგლიხელების მარცხენა წვერმა ჩრდილოეთის ზონაში წინ წაიწია და დაიპყრო 800 ადლის სანგარი. ღამით 11 აგვ. ჩვენმა ერთმა როტამ იერიში მოიტანა და დაიპყრო ოსმალოთა სადარაჯო. დილით მტერი შეეცადა მის უკან დიბრუნებას, მაგრამ უკუგდებულ იქნა. 7 აგვ. ჩვენი გემების რაზმმა ზარბაზნები დაუშინა ნაპირებზე გასასვლელ ადგილებს აკბაშილიმანში, ნაგარის ჩრდილოეთით. ჩვენმა მფრინავმა დაღუპა ოსმალოთა დიდი ტრანსპორტი.

პარიზი. 12 აგვ. საღამოს ოფიციალური ცნობა. მთელ ფრონტზე არტილერიის ბრძოლაა, განსაკუთრებით კი არასის ჩრდილოეთით, სომასა და უაზს შუა, შამპანში, არგონში და ლეარეტრის ტყეში. უკანასკნელ ორ სექტორში ჩვენი მძიმე არტილერია განსაკუთრებით სახეიროთ მოქმედებდა. ვოგეზში, ფეხტის ხეობაში, სადაც ჩვენ ვმაგრდებით დაკავებულ ადგილებში, არტილერიის ბრძოლა სუსტდება და ქვეითი ჯარის ბრძოლა არ ყოფილა.

ვეზულში ჰაეროპლანმა ჩამოაგდო ოთხი ყუმბარა. მსუბუქათ დაიჭრა ერთი ქალი და ერთი ბავში. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

დარდანელი.

ათინა. 11 აგვ. დადეაგაჩიდან იუწყებიან, რომ ინგლისის წყალქვეშა ნავმა ჰაიდარფაშასთან ჩასძირა ქვანახშირით დატვირთული ოსმალეთის გემი „ისპაანი“.

გემის ჩაძირვა.

გეტებორგი. 11 აგვ. ნორვეგიის გემის „ტელლოს“ კამანდა ჩასძირეს გერმანელებმა დაკავებულ შვეციის გემის „გეტელანდის“ დახმარებით, რომელზედაც ამართული იყო გერმანიის დროშა. დაკავების წინ „გეტელანდს“ ესროლეს, მოკლულია მემანქანე. შვეციამ ამის გამო ბერლინში პროტესტი განაცხადა და მოითხოვს „გეტელანდის“ დაბრუნებას.

სევასტოპოლი. 12 აგვ. ანატოლიის წყლებში რუსეთის ნაღმოსნები შეხვდენ ოსმალოთა გემების ქარავანს, რომელსაც კომანდა მოხსნეს და შემდეგ გემები ჩასძირეს.

კოპენჰაგენი. 12 აგვ. ჰულში გაემგზავრა გემი „ვიდარი“ ინგლისის წყალქვეშა ნავის E. 13 მატროსების 14 გვამით.

გერმანიის სოციალისტები.

„ფორვერტსი“ იუწყება, რომ ვოლფის სააგენტო ფაქტებს განზრახ ამახინჯებს რათა საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს, მან არ მოათავსა სოციალისტების პროტესტი ანეგსიის წინააღმდეგ, სოციალისტებმა სთქვეს: გარეშე ოლქების ანექსია ჩვენი ხალხის განვითარებას აფერხებს და ასუსტებს შინაურ მთლიანობას დიდის ხნით. ამის მიხედვით გერმანიის სოციალისტები ებრძვიან დაპყრობითი პოლიტიკისაც მიმდევართა მსგავს მისწრაფებას და მოითხოვენ მუდმივი მედიატორული სასამართლოს დაარსებას.

რუსეთი.

უწმ. სინოდის დადგენილება.

პეტროგრადი. 12 აგვ. უწმ. სინოდმა დაადგინა: რადგანაც მტრის შესევის გამო სამშობლოს განსაცდელი მოევლინა, ამისთვის უწმ. სინოდი მოუწოდებს სამწყსოს იმარხულონ ამა წლის 26 აგვისტოდან, როდესაც იუქმება მირქმა ვლად. ღვთის მშობლისა, რომელმაც დაიფარა მოსკოვი 1395 წ. თემურლენგის შესევისაგან, 29 აგვისტომდე.

ქურნალ-გაზეთებიდან.

რუმინიის გამოსვლა.

ბუქარესტში „გამეფებულია მტკიცე რწმენა, რომ, როგორც კი ავსტრო-გერმანიის ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმანელები დაიწყებენ იერიშების მიტანას სერბიაზე, მათ წინააღმდეგ რუმინეთი გაილაშქრებსო. უნგენში ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ სერბიის საზღვარზე თავი მოიყარა ავსტრო გერმანელების დიდძალმა ჯარმა და მძიმე არტილერიამ, რუმინეთისა და სერბიის ტერიტორიებზე გერმანელების ჰაეროპლანები საზვერავათ დაფრინავენ.

პოლიტიკური ;წრეები მოუწოდებენ ბუქარესტის მთავრობას-მიმართოს ცენტრალურ სახელმწიფოებს ავსტრო-გერმანიისაგან რუმინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო.]

პარლამენტის ოპოზიციის ერთმა ჯგუფმა პალატაში შეიტანა კანონპროეკტი, რომლის ძალითაც უნდა გამოირიცხოს რუმინეთის ქვეშევრდომობისაგან ყველა ის, ვინც უღალატებს რუმინეთის ეროვნულ იდეალს.

ცრუ ხმა.

როგორც მოსკოვიდან იტყობინებიან, 11 აგვისტოს ხმა გავრცელდა: დარდანელი მოკავშირე სახელმწიფოებმა გაარღვიეს და ხელთ იგდესო. (მკითხველს მოეხსენება, რომ ასეთი ხმა გავრცელდა) გულდასმით გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ხმა ტყუილი ყოფილა. ასეთ ამბის გავრცელების გამო მოსკოვის ქუჩებზე დაიწყო მანიფესტაციების გამართვა, რის წინააღმდეგაც პოლიციას ჯიუტობა გაუწია, რის გამოც პოლიციამ რამდენიმე მანიფესტანტი შეიპყრო. ხალხი სენატორ კალაშნიკოვის ბინისკენ გაემართა და აივანზე გამოსვლა სთხოვა. სენატორი გამოვიდა და ხალხმა განუცხადა, რომ პოლიციას უფლება არა აქვს გაგვფანტოსო და ამასთანავე მოსთხოვა, რომ შეპყრობილები გაანთავისუფლებინეო. სენატორმა უთხრა, რომ ეს ჩემს უფლებას არ შეადგენსო. ხალხი დაიშალა.

რეიხსტაგის ზახნა.

„პოლიტიკენ"-ისა და „ბერლ. ტაგენდე"-ს ბერლინელი კორესპონდენტები აღნიშვნენ, რო რეიხსტაგის გახსნის დროს ბერლინში ხალხს შესამჩნევი გამოცოცხლება არ ემჩნეოდაო. რეიხსტაგთან ხალხი ნაკლებათ იყო თავმოყრილი. რეიხსტაგის ტრიბუნები ხალხით გაჭედილია. საზოგაოოების უმრავლესობას ქალები შეადგენდენ. ქუჩებსა და მოედნებზე უხალხობა აიხსნება პოლიციისაგან წინასწარმიღებულ ზომებით, მოსალოდნელ დემონსტრაციის თავიდან ასაცილებლათ. საიმპერიო კანცლერი გამოცხადდა რეიხსტაგში სამხედრო მუნდარში გამოწყობილი. აველას ყურადღება მიიპყრო ამ უკანასკნელ დროს კანცლერში მომხდარმა ცვლილებამ: იგი თითქმის გაჭაღარავებულა, პირისახე გამხდარი ჰქონდა, თავის, გამოსვლამდი იგი დიდხანს ეთათბირა გარეშე საქმეთა მინისტრს ფონ იაგოვს და ლონდონში ნამყოფს გერმანიის ელჩს თ-დ ლიხნოვსკის. კანცლერის განცხადებიდან ყველაზე უფრო საყურადღებო შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის საკითხმა და ინგლისელების წინააღმდეგ წამოყენებულმა ბრალდებამ.

ბეტმან-ჰოლვეგი დიდი აღფრთოვანებით დაპირდა პოლონელებს მთავრობის პოლიტიკის კურსის შეცვლას მათ შესახებ, თუმცა ამ დაპირებას პოლონელ დეპუტატებში არავითარი მოწონება არ გამოუწვევია.

შემდეგ კანცლერმა დიდი საბრალმდებლო ოქმით გაილაშქრა ინგლისის წინააღმდეგ. შეეხო რა ინგლისის როლს საერთაშორისო ომში, კანცლერი მრისხანე სახის გამომეტყველებით მუქს სცემდა კთედრაზე. კანცლერის სიტყვას არავითარი ინციდენტი არ მოყოლია, გარდა საპროტესტო გაკვირვებისა ლიბკნეხტის მხრივ.

რეიხსტაგის სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ გადასწყვიტა ხმა მისცეს ახალს სამხედრო კრედიტს, თუმცა მარცხენა ფრთა ფრაქციისა, რომელიც კიცხავს ანექსიონისტებს, დემონსტრატიული განცხადებებით გამოვა რეიხსტაგში.

ბერლინში ფიქრობენ, რეიხსტაგის შემდეგ სხდომებზე კამათი უფრო მწვავე ხასიათს მიიღებსო.

პაშიჩის აზრი.

სერბიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პაშიჩმა „ვაზეტე და ლოსანე"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა:

„სერბია ბალკანეთის კავშირის აღსადგენათ მზათაა ყოველ გვარი მსხვერპლი გაიღოს ბულგარეთის სასარგებლოთ, მხოლოდ ისე კი არა, როგორც ამას ბულგარეთი მოითხოვს, რადგანაც ბულგარეთის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება სერბიის პოლიტიკურ სიკვდილს მოასწავებსო.

შემდეგ პაშიჩმა იმედი გამოსთქვა, რომ ბულგარეთი არ შეეცდება წაუყენოს სერბიას ისეთი მოთხოვნილება, რომელიც ხელს შეუშლის ამ კავშირის განახლებას.

რაც შეეხება იტალიას, პაშიჩმა განაცხადა, რომ სერბიას სურს იქონიოს კავშირი ვიკტორ ემანუილის სახელმწიფოსთან, მხოლოდ სერბიისათვის ხელსაყრელ პირობებში. სერბიის ინტერესების შეულახავათ, შეუძლია დაიკავოს იტალიამ სტრატეგიული პუნკტები ანდრიატიკის ნაპირებზე ისე რომ, სერბიასაც ჰქონდეს დათმობილი ისეთი ადგილები, რომელიც საჭიროა მისი ეკონომიურ განვითარებისათვის.

დასასრულ პაშიჩმა აღნიშნა, რომ ჩრდილო ალბანეთის ოკუპაციას მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს. სერბიას გულწრფელად სურს აღიაროს ალბანეთის დამოუკიდებელი არსებობა და გამოიყვანს თავის ჯარს დაკავებულ ოლქებიდან, როცა ამას საჭიროება მოითხოვს, და თუ უკეთუ ალბანეთის დანაწილება გადაწყვეტილი არ იქნება სახელმწიფოებისაგან, მაინც და მაინც ალბანეთი არც ისე სახარბიელო სამკვიდროა და არც იაფათ დაუჯდება მას, ვისაც იგი დარჩებაო" დაასრულა პაშიჩმა. „ბ. ვ."

ახალი სასწავლებელი ქ. ქუთაისში.

დასავლეთი საქართველო საკმაოთ მომწიფებულია ყოველგვარი ცოდნის გავრცელებისათვის. სწავლის სურვილი აქ იმდენათ დიდია, რომ ამაზე ლაპარაკი და წერა მეტად მიგვაჩნია. სწავლის გავრცელებაში თვით ხალხი, ფართო მასსა ილებს მხურვალე მონაწილეობას. თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველდაწყებითი სწავლა დასავლეთ საქართველოში თითქმის საყოველთაო შეიქნა. არც საშუალო სასწავლებლითაა ეს მხარე ღარიბი. ამ სასწავლებლების დაარსებაში ინიციატივა თვით ხალხს ეკუთვნის. საკმარისია გავიხსენოთ ხონის მაგალითი. რუსეთის არა თუ პატარა, დიდი ქალაქებიც ვერ შეეღრება ამ პატარა დაბას, სადაც ყოველგვარ სასწავლებელს მოუყრია თავი. მაგრამ დღემდის მხოლოდ ერთნაირი სწავლის გავრცელებას მისდევდა ხალხი, სახელდობიან კლასიკურისას; აარსებდენ უმთავრესად კლასიკურ გიმნაზიებს და უყურადღებოთ სტოვებდენ სხვა დარგის სასწავლებლებს.

ჩვენი ქვეყანა იმდენათ მომწიფდა კულტურულად და ეკონომიურათ, რომ მისს შვილებს მოქმედების ახალი ასპარეზი ეშლებათ წინ. მართალია ომიანობამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განავითარება მოქმედება შეაფერხა, მაგრამ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ომის გათავების შემდეგ დასავლეთი საქართველოსთვის სრულიად ახალი და უცნობი პერსპექტივები შეიქნება. კულტურულათ ზრდასთან მოყვება ეკონომიური განვითარება და ამისთვის საჭიროა გვყვანდეს მომზადებული და მცოდნე პირები. სად ვიშოვნით, ვინ მოგვცემს მათ? კომერციული ცოდნის საჭიროებას კარგა ხანია სცნობს ჩვენი საზოგადოება და სტიპენდიებსაც კი ნიშნავდენ ხოლმე იმ პირთათვის, ვინც ასეთ სასწავლებლებში მიდიოდენ. მაგრამ სასწავლებელში უმეტეს ნაწილათ სტიპენდიის მაძიებელნი მიდიოდენ, და არა გულით მონდომილნი.

მართალია თბილისში და ბაქოში არსებობენ კომერციული სასწავლებლები, მაგრამ სიშორისა და სხვა ათასგვარი დაბრკოლების გამო ჩვენი მოზარდი თაობა ამ სასწავლებელს ვერ ეტანებოდა და ვინც ეტანებოდა ისიც შემთხვევით ან სტიპენდიის გულისთვის.

ჩვენში ახალგაზდობის უმეტესი ნაწილი არჩევს გიმნაზიებში შესვლას არა იმიტომ, რომ მას კლასიციზმისადმი მისწრაფება ქონდეს ან დიპლომი მეტათ უყვარდეს, არამედ მისთვის, რომ მის წინ სხვა სასწავლებელი არ არის. ასეთი ახალგაზდები ჩვენი ცხოვრებისთვის სანახევროთ დაკარგული არიან, ბევრი მათგანი ცხოვრების სწორ გზას სცდება, ბევრი თავისი რწმენის წინააღმდეგ აუცილებელი მიზეზის გამო სხვა გზას ირჩევს და პრაქტიკულ მუშაობას შორდება.

ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე კი ისეც ხელუხლებლათ და უყურადღებოთ რჩება ან სხვისიანების ხელში ვარდება და ჩვენ მხოლოთ ნასუფრალებიღა გვრჩება. ეს რამდენიმე ხანია ზოგიერთ ქუთათურ ინტელიგენტს აზრი დაებადა ეს ნაკლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ ჩამორჩენასა თავიდან აიშორონ და განიზრახეს კომერციულე სასწავლებლის დაარსება. ჩვენ არ შევუდგებით ამ სასწავლებლის უპირატესობის მტკიცებას, ვიტყვით მხოლოთ, რომ ასეთი სასწავლებელი დღეს სწორეთ საჭირო და აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის. ხსენებულმა პირებმა დიდის შრომისა და რამდენიმე წლის კანცელარიებში ჩვეულებრივი სიარულის შემდეგ უკვე მიიღეს ნებართვა და მომავალი სამოსწავლო წლიდან ქუთაისში გაიხსნება კომერციული სასწავლებელი.

სხვა ბევრ ღირსებასთან ერთათ, ხსენებულ სასწავლებელს აქვს, ერთი უპირატესობაც.

სასწავლებლის წესდების ძალით ქართული ენა სავალდებულო საგანია და საკმაო გაკვეთილების რიცხვიც აქვს მას დათმობილი. ამნაირათ ეს სასწავლებელი ერთათ ერთი იქნება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნამდვილ ქართულ გიმნაზიას), სადაც ქართულს ჯეროვანის პატივით და სიყვარულით მოეპყრობიან.

ინიციატორებს შეუძლიათ იამაყონ, რომ მათი შრომა კეთილათ დაგვირგვინდა, ქალაქ ქუთაისს სიხარული მართებს, რომ მას ახალი სასწავლებელი შეეძინა და ჩვენ საზოგადოებას კი მართებს სრულის თანაგრძნობით და სიყვარულით შეხვდეს ახალ დაწესებულებას. P.

ქართული პრესა.

გაზეთ „აზრის" ქუთათური მოამბე—სხვათა შორის სწერს:

...თუ კი ბურჟუაზია თავის ადგილს მოძებნის, მას, რასაკვირველია, თავის სიტყვის ორგანო დასჭირდება, ქუთაისში ეს მოვალეობა ვითომ გაზეთ „სამშობლომ" იკისრა, მაგრამ, ეჰვი არაა, რომ ისეთი ყალთაბანდი გაზეთი, როგორც „სამშობლო"-ა ამ შემთხვევაში შესაფერის როლს ვერ ითამაშებს და, თუ მართალია ის ხმები, რომ ვითომ რ. დათეშიძემ საარჩევნო კამპანიის დროს სუბსიდიაც კი მისცა „სამშობლოს", დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ტყვილა დაუკარგავს, ვაჭრების კანდიდატის გასაყვანათ გაზეთ „სამშობლოს" არც ძალა შესწევდა და არც უნარი.

ხა ის, მომხდარ ამბით შეშფოთებულ ქალს.

— მოდი დაჯექი, წავიდეთ! ვერა ჰხედავ სულელია ვიღაცაა.—მოკლედ მოუჭრა ქალმა.

— ვერაფერი გამიგია.

— ჰა, ჰა, ჰა!.. ვერაფერი გაგიგია? ინებეთ! მარაოს იჩემებს! ეტყობა მადა კარგი ჰქონია. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!—გადიხარხარა მწარედ, ნაწყენი კილოთი.

— ჩემი მარაო... ჩემი საყვარელი მარაო...—იმეორებდა კვლავ მისუსტებული ხმით, ლაფში ამოსვრილი ბედითკრული და ძაგძაგებდა. ეტყობოდა ციებცხელებას მაგრა ჩაეჭირა შეუბრალებელი კლანჭი და არც ეხლა დასტოვა უყურადღებოთ.

ეტლი დაიძრა. ცხენებმა თავ-მომწონეთ გაინავარდეს ქალაქისაკენ. მათხოვარი ძლივ-ძლივობით ამოვიდა რუდან, ჩამოჯდა ლობესთან და მიეყრდნო ლონე-მიხდილი. თვალი გააყოლა მიმავალ ეტლსა და ერთი ისე საცოდავათ ამოიოხრა, რომ გეგონე?ოდათ თან ამოაყოლა გულიო. რას ფიქრობდა ამ წუთში, რამდენ ვარამსა და შეგუებებულ ბოლმას უხსნიდა გზას, ამ უტყვი ოხვრით, ეს საიდუმლოდ რჩებოდა; მხოლოდ ერთი-კი ცხადი-იყო, რომ იგი წარსულ ცხოვრებით გაუბედურებული სინანულს მისცემოდა. ამას ნათლად მოწმობდა მისი უჩვეულო ტირილი, რომელიც ახლა აუტყდა და გადმოჰლვარა ცრემლები ლაპა-ლუპით.

— ჰოი, შეუბრალებელო ქალო!—ამბობდა სევდით შეპყრობილი—მე თუმცა დამსაჯე, მაგრამ იმას-კი აღარა ფიქრობ, რომ შენც ჩემ გზაზე ხარ დამდგარი და აღრე თუ გვიან შენც ჩემ დღეში ჩავარდები. მაგ მარაომ დამლუპა მე! ჩემზე უწინ დაღუპა სხვები, დაგლუპავს შენც... ჩაუკვირდი ცხოვრების ტალღებს და დაინახავ მისგან გარიყულ მრავალ შენისთანებს. ...ჩემზე ლამაზი არავინ იყო ამ ქალაქში; მრავალი ყმაწვილ-კაცობა გარს მეხვეოდა ფარვანასავით და რაყიფნი ხმალში იწვევდენ ურთი-ერთს ჩემი გულისთვის. სიმდიდრის ღმერთი მე მაბერტყდა კალთას. ...მაგრამ რას გაიგებ შენ ეხლა ბედნიერების ფრთებით მაღლა მსრბოლავი? გაივლის ხანი, შენც შეგეკვეცება ფრთები და დაეშვები შავ მორევში ..—

ამ სიტყვებს ამბობდა მწარე გამოცდილებით და თანდათან სუნთქვა უმძიმდებოდა; თვალები უკანასკნელად ელულებოდენ და ამ ქვეყნიერ სიმშვენიერეს ეთხოვებოდენ. გაცრეცილი ტუჩები კი მარად იმეორებდენ:

— მარაო...

. . . . . .

ხ. ერთაწმინდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეუძლია და რა არ შეუძლია გაზეთ „სამშობლოს“, ამას ჩვენებური მატყუარა ყალბი სოციალისტი ვერ მიხვდება. საამისო ნიჭი ღმერთს მისთვის არ მიუცია, ვინაიდან—იგი აზროვნებისათვის კი არ არის გაჩენილი, არამედ გაჩენილია მხოლოდ თუთუყუშად... და თუთუყუშებთან თავის მართლება კი ჩვენთვის სამარცხვინოც არის და სათაკილოც.

ჩვენი პატარა ქვეყანა და მ-თ უმეტეს ქუთაისის საზოგადოება იმდენათ კარგათ იცნობს „გაზეთ „სამშობლოსა“ და მის ხელმძღვანელსაც, რომ თავის მართლება არა გვჭირია.

გვიკვირს მხოლოდ: როგორ გვიკიჟინებს ჩვენ ყალთაბანდობას ის ორგანო, რომლის მთელი სიცოცხლე მართლა რომ ყალთაბანდობა, უნიადაგობა და მატყუვრობაა—ჩვენი, ქართველი ხალხისათვის...

ჩვენ აღარ გავიხსენებთ იმ **საშუალებათ**, რა საშვალებითაც სცხოვრობდენ და სცხოვრობენ ნაშხეფები ჩვენის დასელებისა და მათი ორგანოები.

ეს საშუალებანი კარგად მოეხსენება ქალაქებსაც და სოფლებსაც, „ბურჟუა“ აც“ და „არაბურჟუასაც“, თავადსაც და გლეხსაც, მუშასაც და არამუშასაც!..

და ამ საშუალებათა მხმარებელი ორგანო და მისი დასი სხვას რომ ყალთაბანდობას უკიჟინებდეს,—სასაცილოა სამწუხარო და სამარცხვინო რომ არ იყოს.

ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ დადგება ის დრო, როდესაც გონებაზე მოსული მეთაურები ამ დასისა (ბ-ნი ანი, ანჩინი და სხვა) გასწმენდენ თავის პრესას ყალმით შანტაჟისტებისა და „ყალბ სოციალისტებისაგან“, და მაშინ თვალ ახელილი მასსა თვითვე დააფესებს თითოეულ ჩვენ ორგანს. მინამდე კი „აზრის“ მოამბის წიხლები და წინდაუხედავობა არა გვწყინს.

გვწყინს მხოლოდ ის, რომ ყოველივე ნიღაბოსანს ასეთი რიხით შეუძლია საზოგადოებისა და მისი მოჭირნახულეთა გაბიაბრუება!..

თ-დი იასონ გელოვანი.

გარდაიცვალა თავადი იასონ დავითის ძე გელოვანი. დასავლეთ საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა შორის განსვენებულს ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა და მისი მრავალ-წლოვანი უმწიკვლო და უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობა ყველასთვის თვალსაჩინოა.

თავადი გელოვანი ლეჩხუმის თავად-აზნაურობას მარშლების არჩევის უფლება მიენიჭა. ღირსეული წინამძღოლი იყო თავადი გელოვანი. აროდეს არ უღალატნია მას თავის მოვალეობისთვის, აროდეს არ დაუხურდავებია მას დაკისრებული მოვალეობა კერძო, პირად, ანგარიშებზედ. და დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა კრებები მწვავეთ იგრძნობენ ამ სამაგალითო წინამძღოლის დაკარგვას. მისი კეთილშობილი, მამულის სიყვარულით გამსჭვალული აზრნი და ზრახვანი, მომჯადოებელ ენაწყლიანობით გამოხატულნი, ყოველთვის დიდ ყურადღებას იწვევდა თავად-აზნაურთა ყრილობებზე.

ლეყხუმისათვის განსვენებულს სულ განსაკუთრებული ღვაწლი და ამაგი მიუძღვის. ამ კუთხის ცხოვრებაში თ-დი იასონ გელოვანის მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერი იყო. სწავლა-განათლება, კულტურული ეკონომიური ვითარებანი, მთავრობასთან დამოკიდებულება, და ყველა ეს მეტათ ძლიერ მფარველს და მოსარჩლეს ჰპოულობდენ მასში. ის იყო მთელი კუთხის წინამძღოლი და არა თავად-აზნაურობისა მარტო. ამიტ აიხსნება ის ფრიად ძვირი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, რომ განსვენებული ყველა წოდების და მდგომარეობაში მყოფათვის ერთნაირათ საყვარელი და საპატიო იყო. მაშინაც კი, როდესაც ჩვენ საზოგადოებაში სხვადასხვა აზრნი და მიმართულებანი მწვავეთ ერთმანეთს დაშორდა „და“ დაუპირდაპირდა და საერთო ავი და კარგი ჩვენთვის აღარ მოიპოვებოდა, იასონ გელოვანს სრულიადაც არ დაკლებია ის პატივი და სიყვარული, რომელნიც არა ოდეს არ ტოვებდენ მას ცხოვრებაში.

მაგრამ არის ერთი მხარე განსვენებულის პიროვნებაში და მისი მოგონება განსაკუთრებულ მწუხარებას გამოიწვევს ყველა იმაში, ვინც თავის ერის გარეშე ბედნიერებას ვერ პოულობს.

თავადი იასო გელოვანი იყო შესანიშნავი ხელოვანი ჩვენი ერის სულიერ სახელოსნოში. იასონისთანა პიროვნებებმა შეასისხლხორცეს ქართველ ერს დიდებული რუსთველის ქმნილება. გენიოსის სული შთაბერეს ერს, მისი აზრი და ფიქრი გაუნაწილეს მას.

ლეჩხუმში იყო მთელი ჯაჯაფი ასეთ ასეთ პიროვნებათა. თ-დი ვარადებულ და ვლადიმერ ჩიქოვანები, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრობის სახლთ. უხუცესი თ-დი დათა ჩიქოვანი, რომელიც გარდაიცვალა რამოდენიმე წლის წინათ, მგოსანი ქაიხოსრო გელოვანი, ერმალო გელოვანი და სხვები შეადგენდენ „იმ შესანიშნავ გუნდს, რომელთა სულიერი ცხოვრება აღმოცენდა სამეგრელოს სამთავროს დამოუკიდებლობის და თავისუფლების ნიადაგზე. მათ ჩვეულება ჰქონიათ დრო დროზე ერთად შეკრება. მაშინ ისინი დროებით შორდებოდენ ჩვენს ცხოვრებას, დაკნინებულს და წვრილმანს. სულმნათი შოთა, არჩილ მეფე, ბესიკი, თუ გურამიშვილი ერთმანეთს შეეშბოდენ მოშაურობაში. მათ სცვლიდა ხალხური სიბრძნე, იგავ-არაკი, ოხუნჯობა. ეს გუნდი თავისუფალი ეროვნული ცხოვრების უკანასკნელი გამოძახილი იყო. მათ მსგავს პიროვნებას ვერ წარმოშობს ცხოვრება თავის ბუნებრივ კალაპოტს დაშორებული.

ზედ მიწევნით მცოდნე ქართული ძველი და ახალი მწერლობისა შეუდარებელი მოქართულე და ენა-წყლიანი მოსაუბრე, ქართველური ზნე-ჩვეულებით აღზრდილი და გამსჭვალული, იასონ გელოვანი ცოცხალი ძეგლი იყო წარსულ ცხოვრების სულიერი სიმშვენიერის და დიდების მომგონებელი, ის ძვირფასი საკმაული იყო ჩვენ დაბეჩავებულ ცხოვრებისთვის მოვლინებული და ვის არ მოუკლავს გულს მისი დაკარგვა.

ალექსანდრე ასათიანი.

თავადი იასონ გელოვანის გარდაცვალებისა გამო.

ტკბილი მოხუცი, მარილიანი და ქართული ენით გონიერი მოსაუბრის, მშვიდობიანი, ზრდილობიანი, თავდაბალი და გულკეთილი ადამიანის ასეთი შემთხვევით მოულოდნელად დაკარგვამ მეტად შემაწუხა და დამაღონა.

განსვენებულს კარგად ვიცნობდი:

იმისი დანახვა, როგორც ახოვანისა და ჭეარით მოსილი პიროვნებისა, ყოველთვის სიამოვნებას მაგრძნობინებდა ხოლმე და თვალწინ წარმოიდგენდა ნამდვილ ძველი ქართველის დიდებულ ტიპს. თავადი იასონი დიდი მოყვარული იყო თავისი ქვეყნისა და ქართველი ერისა; ის ყოველთვის მზად იყო გაჭირვების დროს ყველასათვის დახმარება გაუწია, რითაც შეეძლო. იმისი სიკვდილით დასავლეთ საქართველოს მოაკლდა ერთი მოჭირნახულეთაგანი და განსაკუთრებით კი ლეჩხუმის მხარეს კიდევ გამოეკალა საუკეთესო მკვიდრი ბოძი და მოესპო მას იმისი მამობრივი მზრუნველობა.

ვუცხადებ გულწრფელ თანაგრძნობას განსვენებულის ჭირისუფალთ, ნათესავებს და დაობლებულ ლეჩხუმის მცხოვრებთ.

ლადო ბზვანელი.

† კეთილშობილო თავადო-ზნაურნამძღოლო იასონ!

მუხლს ვიდრეკ შენი გაცვეებული ცხედრის წინაშე. ბუნებით კეთილშობილო, მეთაურო, ჭარში და ლეხინში წინამძღოლო, გულწრფელის სინანულით შემოგტირის შენი მშობელი კუთხე. მრავლისთვის მამა-მრჩეველო, ვით ვინ უგეშოთ შენგნით დაობლებულმა ლეჩხუმის ახალგაზდობამ? ვინ ამხელს ჩვენ ახალგაზდულ გატაცებით გამოწვეულ შეცდომებს საამურ ძველ ქართულით მოქარგულ საუბარით? მაგრამ არა მარტო შენი მშობელი კუთხე, თვით ლეხთ იქითა საქართველოც, თავის შეგნებულ შვილების პირით, უეჭველათ გისურვებს საუკუნო მყუდრო განსვენებას. ქართული მამულიშვილი, ვინც კი ერთხელ გაგიცნო, მოისმინა შენი შეუდარებელი ქართული საუბარი, გთვლიდა საყვარელ, ძველ თავისუფალ საქართველოს ტიპიურ წარმომადგენელათ. მთლიანო ძველო ქართველო, შენ არ იყავი ვიწრო-იდეურ-წოდებრივ და არც სარწმუნოებრივ ფანატიზმით შეზღუდული. შოთას ვეფხის ტყაოსანი, ქრისტეს სახარება და მაჰმადის ყურანი—აი სიბრძნეთა საუნჯენი, შენთვის სასურველნი ასპარეზნი მეგობრულის საქმიანობისა. მაშ ახარეთ მათ, რომ ამიერიდან შოთას საქართველო, სახარებისა და ყურანის საქართველოსთან მჭიდროთ შეკავშირებული, ეჩქარის სიბრძნის ძიებას.

ვ. ასათიანი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

რედაქციამ მიიღო თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის მიერ გამოცემული „კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია“, ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“ შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც ქართულის მასწავლებლებს, ისე მოწაფეებს.

წიგნი მშვენივრათაა გამოცემული კარგ ქაღალდზე, შეიცავს 309 გვერდს ჩვეულებრივის ზომისას და ღირს ექვს აბაზათ.

✦ 2 ივლისს სოფ. ნიკორწმინდაში (რაჭ. მაზ.) წმ-და ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად გაცვლილ დიდებულ მგოსნის ვაჟა-ფშაველას სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დაესწრო, წარმოითქვა შესაფერი სიტყვა.

✦ **საყურადღებო განცხადება.** მთავარ შტაბის განყოფილემა აცხადებს: უმაღლეს შტაბს მომქმედ ჯარიდან მოსდის ცნობები დაჭრილების, დახოცილების და უკვალოდ დაკარგულ ჯარისკაცთა შესახებ. შტაბი ყველა ამისთანა ჯარისკაცების სიას ადგენს და უგზავნის—ყველა გუბერნატორს, ადგილობრივ ბრიგადების უფროსებს, სამაზრო ჯარის უფროსს (ვოინსკი ნაჩალნიკის), რომელნიც მოვალენი არიან ყველაფერი საყოველთაოდ გამოაცხადონ და ხალხს შეატყობინონ.

ამიტომ ყოველგვარ ამისთანა ცნობების მისაღებად მსურველებმა უნდა მიმართონ ადგილობრივ გუბერნატორის ან ჯარის უფროსის (ვოინსკი ნაჩალნიკის) კანცელარიაში.

✦ ღღესასწაულების გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 18 აგვისტოს.

✦ ბალახვანის შოთა რუსთველისა და გორის აკაკის სახელობის სამკითხველოთა შეერთებულმა სამზრუნველო კომიტეტმა დაადგინა მოაწყონ ქუთაისის ქალაქის ბაღში სახალხო სეირნობა ხელნებულ სამკითხველოთა სახსარის გასაძლიერებლათ.

✦ ვოლგა კამის კომერციული ბანკის გამგეთ დაინიშნა ბ-ნი ე. ჩხატარიშვ ლი.

✦ ხუთშაბათს, 13 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება ქუთაისში ხოლერის საწინააღმდეგოთ ზომების მისადებათ. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებული ი. გელოვანის ხსოვნას. შემდეგ ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინეს, მიიღონ ყოველივე ღონის ძიება, რათა ქუთაისის ქუჩებსა და ეზოებში სისუფთავე დაცული იყოს.

✦ 17 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, გუბერნატორის სადგომში მოხდება ქუთაისის გუბერნიის სანიტარული კომისიის კრება. ამ კრებაზე, სხვათა შორის, მოწვეულია ქალ. მოურავი ი. მ. ჩიქოვანი.

17 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე სანიტარული ექიმის ვ. წერეთლის მეთაურობის მოხდება უბნის სანიტარული მზრუნველების საზოგადო კრება ხოლერის საწინააღმდეგოთ ზომების მისაღებათ.

✦ გუშინ საკათედრო ტაძარში ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დავით ო. ნიკარაძის მეთაურობით დღის 12 საათზე გადახდილი იქნა პანაშვიდი ლეჩხუმის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლის თავ. ი. დ. გელოვანის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს ხალხი ბლომათ დაესწრო. 15 აგვისტოს განსვენებულს, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ, ლეჩხუმში წაასვენებენ. კუბო განსვენებულისა გუშინ გვირგვინით შეამკო დეპუტატთა საკრებულომ.

ჩვენი ფოსტა.

შუქრუთი. ალ. ჩანჩალაძეს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

სწრაფმბეჭდავი სტამბა. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზორისისაგან.